ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება ხარისხიანი სოციალური სერვისებისთვის

ვინ ვართ ჩვენ:

პროექტი დაფინანსებულია **გერმანიის ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ფედერალური სამინისტროს** მიერ და ხორციელდება სექტორში დიდი გამოცდილების მქონე საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ

- World Vision საქართველოს ფონდი“ (WVGF)
- ასოციაცია „ანიკა“ (ANIKA)
- ხიდი სოციალური ინკლუზიისთვის (BSI)
- კახეთის სამხარეო განვითარების ცენტრი (KADC)
- ცვლილებები თანაბარი უფლებებისთვის (CER)

ჩვენ ერთად ვმუშაობთ, რომ საქართველოში მოწყვლად ჯგუფებს ჰქონდეთ წვდომა ინკლუზიურ, ხარისხიან და მდგრად სოციალურ მომსახურებაზე.

რა არის პროექტის მიზანი:

პროექტის მიზანია ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების გაძლიერება, რათა მათ შეძლონ მაღალი ხარისხის სოციალური მომსახურებების მიწოდება იმ ადამიანებისთვის, ვისაც ჩვენი მხარდაჭერა ყველაზე მეტად სჭირდება. ორგანიზაციების შესაძლებლობების გაძლიერებით, სისტემების გაუმჯობესებითა და პარტნიორობის ხელშეწყობით, ჩვენ უზრუნველვყოფთ, რომ ბავშვებმა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებმა და რისკის ქვეშ მყოფმა ოჯახებმა ისარგებლონ უფლებებზე და საჭიროებებზე მორგებული მხარდაჭერითა და სერვისებით.

რატომ არის პროექტი მნიშვნელოვანი:

საქართველოში მოწყვლადი ჯგუფების უმრავლესობა, კვლავ ვერ სარგებლობს აუცილებელი და სათანადო ზრუნვის სერვისებით. მომსახურების ხარისხის დაბალი დონე, არასაკმარისი ფინანსური მხარდაჭერა, სოციალური სტიგმა და დაბალი ცნობიერება ზღუდავს მათი უფლებების სრულფასოვნად რეალიზებას.

პროექტი სწორედ ამ გამოწვევებს პასუხობს და აძლიერებს საზოგადოებრივი ორგანიზაციებს, რათა მათ შეძლონ გრძელვადიანი გავლენის მოხდენა მოწყვლადი ჯგუფების საკეთილდღეოდ.

როგორ მივაღწევთ დასახულ მიზნებს:

27 ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესაძლებლობის გაძლიერება გენდერული თანასწორობისა და სოციალური ინკლუზიის (GESI) მიდგომით.

- ორგანიზაციული შესაძლებლობების შეფასება GESI-ის სენსიტიური მეთოდოლოგიით, მათი საჭიროებების და რესურსების შესწავლის მიზნით;
- სასწავლო მოდულების და კომპეტენციის განვითარების პაკეტების შემუშავება და გადამზადება;
- ორგანიზაციული განვითარების, მენეჯმენტის, მომსახურების დიზაინისა და ფინანსური მიმართულებების გაძლიერება;
- ციფრული სასწავლო მასალების შემუშავება სასწავლო რესურსებზე ხელმისაწვდომობისა და მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

Implemented by: კახეთის სამხარეო განვითარების ცენტრი

სოციალურ მომსახურებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა 2,100-მდე მოწყვლადი ადამიანისთვის

- პარტნიორი საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერა ბავშვებისა და ზრდასრულების სერვისების გაუმჯობესებასა და შემუშავებაში;
- ორგანიზაციების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერა;
- მენტორობისა და პროფესიული ზედამხედველობის გაწევა ცოდნის პრაქტიკაში გადატანისა და სერვისების ეფექტურობის გასაზრდელად;
- ცნობიერების ამაღლება მედია კამპანიებითა და თემის ჩართულობით ხარისხიანი და ინკლუზიური სოციალური მომსახურების შესახებ.

მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება მონიტორინგისა და ადვოკატირების გზით

- სოციალური მომსახურების ხარისხის მონიტორინგის ჩარჩოს დანერგვა, რომელიც შეესაბამება სახელმწიფო სტანდარტებს და ითვალისწინებს გენდერული თანასწორობისა და სოციალური ჩართულობის (GESI) ძირითად პრინციპებს;
- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შესაძლებლობების გაძლიერება შიდა მონიტორინგსა და ადვოკატირებაში;
- მოწყვლადი ჯგუფების დაცვის პოლიტიკისა და სისტემების გაძლიერება, ეფექტური კოორდინაციითა და ადვოკატირების გზით.

რომელ რეგიონებს დაფარავს პროექტი?

პროექტი ხორციელდება საქართველოს ოთხი რეგიონის 9 მუნიციპალიტეტში:

- **კახეთი** (თელავი, ახმეტა, გურჯაანი)
- **იმერეთი** (ქუთაისი, ბაღდათი)
- **სამცხე-ჯავახეთი** (ბორჯომი, ახალციხე)
- **აჭარა** (ბათუმი, ხელვაჩაური)



ვინ ისარგებლებს პროექტით?

- **27 საზოგადოებრივი ორგანიზაცია და მათი 260-ზე მეტი თანამშრომელი** გადამზადდება და ისარგებლებს მენტორობით;
- **2,000-ზე მეტი ადამიანი,** მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები და სოციალურად დაუცველი ოჯახები მიიღებენ გაუმჯობესებულ მომსახურებას;
- **10 მუნიციპალიტეტის საჯარო სექტორის წარმომადგენლები** მიიღებენ ინსტრუმენტებს სოციალური მომსახურების მონიტორინგის გაუმჯობესებისთვის;

- **ადგილობრივი თემი** გახდება მეტად ინკლუზიური და მგრძნობიარე სოციალური საჭიროებების მიმართ.

ამ პროექტის საშუალებით, **225,000-ზე მეტი ბავშვი და ზრდასრული** მიიღებს მათ უფლებებსა და საჭიროებებზე დაფუძნებულ, გაუმჯობესებულ მომსახურებას და მეტ შესაძლებლობას სოციალური ჩართულობისთვის.

პროექტი ხელს უწყობს სოციალური დაცვის სისტემის გაუმჯობესებას ადგილობრივი ორგანიზაციების გაძლიერებით, რაც ხარისხიანი, ინკლუზიური მომსახურებების მიწოდებას და ეფექტურ რეაგირებას მოსახლეობის საჭიროებებზე.

ერთად, ჩვენ ვქმნით საზოგადოებას, სადაც თითოეული ბავშვი და ზრდასრული თავს გრძნობს დაცულად, უსაფრთხოდ, დაფასებულად და ძლიერად.

მასალა მომზადებულია გერმანიის ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ფედერალური სამინისტროს (BMZ) ფინანსური მხარდაჭერით. მისი შინაარსი World Vision საქართველოს პასუხისმგებლობაა და არ გამოხატავს გერმანიის ფედერალური სამინისტროს შეხედულებებს.